ა. ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოება

A. Zurabashvili Society of
Georgian Psychiatrists

N 05/2020 24.02.2020

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგეხსენებათ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტისა და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების სტანდარტებისა და შეფასების ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, შექმნილია სამუშაო ჯგუფი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 01-109/ო 25 / მაისი / 2017 წ).

სამუშაო ჯგუფის შექმნის ძირითადი მიზანია საქართველოში ფსიქიკური ჯანდაცვის სტაციონარული და სტაციონარგარეშე სპეციალიზებული სერვისების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა.

ამ მიზნის მისაღწევად, სამუშაო ჯგუფი გეგმავს საქართველოს ყველა რეგიონში მოქმედი ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო ამბულატორიებისა და მობილური გუნდების შეფასებას.

სერვისების შეფასება მოხდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „ხარისხი&უფლებების“ ინსტრუმენტების ნაკრებით (The WHO QualityRights tool kit), რომელიც მაღალი სანდოობით გამოირჩევა და საქართველოში მისი გამოყენებით უკვე შეფასებულია სხვადასხვა სოციალური და ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისი, მათ შორის ფსიქიატრიული სტაციონარები.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამ ინსტრუმენტით 2019 წელს მოხდა ფ/ჯ ჰოსპიტალური სერვისის მონიტორინგი. ჯგუფის მიერ მომზადდა მონიტორინგის ეროვნული ანგარიში, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან არსებული ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს. ასევე საგულისხმოა ისიც, 2019 წელს ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, მოიაზრებს დარგობრივი სამინისტროს მიერ მონიტორინგის ამ მექანიზმის

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995032 265 38 28
ელ-ფოსტა: geopsysociety@gmail.com

გამოყენების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ამ მექანიზმის დატესტვა ამბულატორიულ და მობილური გუნდის სერვისებში.

აღნიშული პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, გთხოვთ, გაგვიწიოთ შუამდგომლობა წერილობითი ნებართვის სახით ამ სერვისებში მონიტორინგის ჩატარების უფლებაზე.

პატივისცემით,
ა.ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოების თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/